სწორედ ამ-დღევანდელი რ-არსებული ძი-შესატყვის სულ-ავტორი საერ-ნილი. შესაბო-მიზეზი იყოს, რაც თბიქმე-ყვენი ავტო-

ექსპოზიცი-რ-სი გთბლენ-რ-ივი აგებულ-ეს გაბეჭდ-სუახლოვდები-ფერადოვანი რე-ლუბულ ექსპო-ნებენ. კომპო-რ-დაც მხატვ-ლოებენ თა-დატვირთულ-რ-ივ ფაქტურულ-დეკორატიულობ-კრამიკის მ-იობებისა და რ-ული მიმდინ-წყემა. განს-ქუთათიკლბი-ბა“. სამი ლ-ზივია ძლიერ-შოვადების შ-სის ასოციაცი-

მინის ბ-საინტერესოა მ-ლობის შინა-ვარი სივრც-რის ვაცნ-ამ აკრებს მხატ-მხრივ საინტ-ფიგურაინი და მ. სე-

ლარნაკები. ნ. ფარულავას „გაზაფხულში“ ბუნების მხატვრული ტრანსფორმაცია, რაც ასოციაციას იწვევს დეკორატიულ ბუჩქბუჩხვან. მ. სენიაშვილის ლარნაკები დამზადებულია მქრქალი, უფრო მინისაგან, აქვს მკვეთრი წაგრძელებული ორგანიზაციის გამოყვანილი ტანი. შუა წელზე და ყელზე სპირალურად დაპყვება კობალტის ლურჯი ფერის მინის რელიეფური ძაფები, რომელიც ხაზს უსვამს ფორმების პლასტიკურობას და დინამიკურობას.

კერამიკისაგან განსხვავებით მინის ექსპოზიციის სუსტად შეიმჩნევა ერთიანი ფორმების დომინირება, ამის გამო ძლიერდება უტილიტარიზმისა და მოდერნიზმის შერწყმა. მხატვრული ნიმუშისადმი ასეთი მიდგომა ყოველთვის სრულყოფისა და ერთიანი სტილის შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს.

ლიანა ღათუსანი

### ექსპოზიცია

მხატვრის სახლში გახილი წლევენილი საგაზაფხულო გამოფენა მაყურებლის წინაშე ახალი სახით წარსდგა. აღნიშნულ სახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხელოვნების ცალკეულ დარგებს დამოუკიდებელი საგამოფენო სივრცე ეთმობა.

როგორც ცნობილია ყველა ექსპოზიციის ექსპოზიციონერის საკუთარ პოზიციას წარმოაჩენს. ნამუშევრები ვარკვეული პრინციპით თავსდება დარბაზებში და ობიექტურ შეფასებასთან ერთად ყოველთვის განსაზღვრისწინებელია აღქმის სუბიექტური თავისებურებებიც.

კონკრეტულ შემთხვევაში მრავალრიცხოვანი ფერწერული ნამუშევრები არც თათბების, არც თემატიკისა და სტილის მიხედვით არ არის დახარისხებული. ჩვენი აზრით ეს ხერხი ექსპოზიციის მრავალფეროვანი სახის შექმნას ემსახურება.

გამოფენის დათვალიერებისას ერთი ავტორის რამდენიმე ნამუშევარს სხვადასხვა დარბაზებში ვხვდებით. კერძოდ, თათანაშვილის ორი აბსტრაქტული ერთი-მეორის გვერდით კი არ არის გამოფენილი, არამედ საპირისპირო კედლებზე თავსდება, რაც სწორად იყო გათვალისწინებული. ამგვარი განლაგებით, ფერის ჟღერადობითა და გამოხატულების სიმძაფრით გამორჩეული ნამუშევრები უფრო აქტიურ ემოციას იწვევენ მნახველში.

ჩვენი აზრით გაუმართლებელია ერთ კედელზე სხვადასხვა ავტორის ერთი ტიპის ე. წ. „სალიონური“ სასიათის, მკრთალ ტონალობაში შესრულებული სურათების მითავსება, რაც ექსპოზიციის ერთფეროვნების დას ასვამს. ალბათ უფრო სწორი იქნებოდა შედარებით ჟღერადი კოლორიტის მქონე ნამუშევრის ჩართვა სივრცის გასაცოცხლებლად. ხშირად პირიქითაც ხდება, როდესაც აქტიური ფერადონების სურათების გვერდით სხვა ნაწარმოები იჩინილება, აშკარაა ინტენსიური ფერის პრიორიტეტი (ე. კიკალიშვილის პეიზაჟი).

გამოფენაზე ერთ დარბაზშია წარმოდგენილი დეკორატიულ-გამოყვანილი ხელოვნების ნიმუშები. ფერადი მინის დეკორატიული ჭურჭელი, ტრადიციული ორნამენტული ნახატი მთქიული კერამიკული დოქები და თითქმის ერთი ტიპის მკაფიო ფერადონებით გამორჩეული გობელენები, ორგანული სინთეზის ქმნიან და ერთ მთლიანობაში აღიქმებიან.

შედარებით ნაკლებ პირობებებს ვაწყდებით გრაფიკული ნამუშევრების ექსპოზიციისას, რაც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. (გვულისხმობთ ფერის ნაკლებ ინტენსივობას).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქანდაკების მითავსება ცალკე დარბაზში; კერძოდ თუ ადრე ქანდაკება ყოველთვის სხვა დარგებთან ერთად იყო გამოფენილი და ამდენად მაყურებელს უჭირდა ყურადღების მთლიანობა, ესლა შესაძლებლობა გვაქვს ის დამოუკიდებლად შევაფასოთ.

ბოლოს გვინდა კიდევ ერთ პირობას შევეხები. ჩვენი აზრით ზოგიერთ დარბაზში კედლები გადატვირთულია სხვადასხვა თემატიკისა და სრულიად განსხვავებულ მანერაში შესრულებული სურათებით, რომლებიც მჭიდროდ ებჯინება ერთმეორეს და ძნელდება ნამუშევრის დამოუკიდებელი აღქმა. ვითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ საგამოფენო სივრცის მიხედვით დღესდღეისობით შეზღუდული ვართ.

უფრო მართებული იქნებოდა, რომ საგამოფენო კომიტეტისთვის შეგვესწინებინა შედარებით ნაკლები რაოდენობით, მაგრამ ხარისხით საუკეთესო ნამუშევრები შეგვერჩინა გამოფენისათვის.

ამით უდაოდ მოიგებდა გამოფენის დონე.

მიგვაჩნია, რომ კრიტიკიუმი მაინც არსებობს და იგი მხოლოდ პროფესიონალობის მ ჯალ დონეს აკლდისსიროს.

ნატა გიგინავა

სოსო წერეთლის ნამუშევრების გამოფენა 3 აპრილს გაიხსნა მხატვრის სახლში. გაიხსნა ამ მხატვრის შემოქმედებაზე დიდი ხნის დუმილის შემდეგ, იმ ხანგრძლივი აკრძალვის შემდეგ, რომელიც გარემომცველმა რეალობამ მოუსაჯა ამ ნიჭიერი ადამიანის ხელოვნებას. ამიტომ გამოფენა იმ აღმოჩენად იქცა, რომელმაც თანამედროვე ქართულ ხელოვნებას საინტერესო და თვითმყოფადი მხატვრის შემოქმე-

სოსო წერეთლის ცხოვრებაში მომხდარი ყველა მოვლენა, მისი სულიერი მდგომარეობის ყოველი პერიოდი ემოციურად მდგაგნდება მის მხატვრობაში. ქრისტიანული რელიგიით დაინტერესება, სარწმუნოებასთან და საეკლესიო რიტუალთან დაკავშირება იწვევს რელიგიურ სიუჟეტებზე მუშაობის სურვილს. ამ პერიოდში იქმნება მრავალრიცხოვანი გრაფიკული ნახატი ამ თემაზე და ფერწერუ-

## სოსო წერეთელი


სოსო წერეთლის ხელოვნებისადმი ინტერესს მისი ტრაგიკული ბედის განსაზღვრავს. მისი შემოქმედება, რომელიც აქამდე სრულიად უცნობი იყო, თვალნათლივ წარმოგვიდგენს ადამიანს, ვინც არ შეუორიგდა გარემომცველ უსამართლობას.

დება შესძინა. ამასთან მან პასუხი გასცა ყველა იმ კითხვას, რომელიც 1983 წლის შემოდგომის იმ საბედისწერად დღის შემდეგ დაისვა სოსო წერეთლის პიროვნებასთან დაკავშირებით, მისი ცხოვრების წესის, ხასიათის, თუ სულიერი მისწრაფებების შესახებ. გამოფენამ თვალნათლივ წარმოაჩინა ის ჰუმანიტი ღირსებები, რითაც ასე მდიდარი იყო სოსო წერეთელი: ნიჭიერება, კულტურა, შრომისმოყვარეობა. მისი სურათების სახით ჩვენი თვალწინ გადაიშალა ამ ადამიანის აზრისა და ფიქრის ხილული სამყარო, გამსჭვალული მისი განცდებითა და ემოციებით, გამშვიდიებული მისი ფანტაზიით, შექმნილი დიდი სიყვარულითა და შრომით, საგსე იმ წინააღმდეგობებით, რომელიც ყოველთვის თან სდევს მადიებელი ბუნების შემოქმედს, რომელსაც იგი არ კმაყოფილდება მიღწეულით და ხელოვნების მრავ-

ლი სურათები: „ერუსალიმში შესვლა“ და „იესო ქრისტეს“ ორი ვარიანტი. ერთი მათგანი ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს საკუთრებაა.

ქართული ხატწერის ღრმა ცოდნა, ხატის ფენიქიის, მისი დანიშნულების გათვალისწინება, ავტორის სარწმუნოებრივი პოზიციის განსაზღვრავს ამ ნამუშევრების ხასიათს. „ერუსალიმში შესვლა“ თავისი არაჩვეულებრივი ფერადონებით ქართული მინაქრის ნიმუშებს მოგვაგონებს, ხოლო „იესოს“ გამოსახულების ერთგვარი არქაიზმი, მისი სახის ექსპრესიულობა შინაგანი დრამატიზმით ავსებს და ზემოქმედების თავისებურ ძალას მატებს ამ სურათს.

აქ უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სოსო წერეთელი ერთერთი პირველთაგანია, ვინც თავ-



„ადამ და ევა“.

ვალფეროვან სამყაროში ეძებს საკუთარ ადგილს, საკუთარ პოზიციას თავისი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი მრწამსის გამო-სახატავად. ამ თვალსაზრისით სოსო წერეთლის მხატვრობა განვითარებისა და განახლების დიდ პოტენციას ამჟღავნებდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი სამოცამდე დიდი ტილო ეტაპობრივად შეიძლება დაჯგუფდეს, სახვით საშუალებათა პერიოდული სახეცვლილებების, კულტურის ისტორიაში მხატვრის მზერის მიმართულების მისხედვით. თავდაპირველად სოსო წერეთელი გატაცებით მუშაობს სპექტრალური ფერწერის ამოცანებზე, რომლისკენაც განსაკუთრებული ყურადღება ჯიბსონ სუნდატესთან მოწაფეობის წლებში არის მიმართული. შემდგომში გატაცებულია კუბისტურ-კონსტრუქციული ხასიათის ძიებებით და ქმნის ინდივიდუალური აზროვნების თვალსაზრისით მართლაც გამორჩეულ ნამუშევრებს. ასეთია „ბეზას პორტრეტი“, „ავტობოტრეტი“, „ლიანას პორტრეტი“, „ოჯახი“ და სხვა. ამ სტილის შესანიშნავი ნიმუშია „მუსიკოსების ოჯახი“, კომპოზიციის მოზაიკური წყობით, გეომეტრიზირებული ტექნიკურობით, დეკორატიული და ფერწერული გამოხატულების სიმძაფრით.

ვისი შემოქმედებით ქართული რელიგიური მხატვრობის შეწყვეტილი ტრადიცია გააგრძელა და ღრმა სულიერებით გამსჭვალული ნამუშევრები შექმნა.

ექსპოზიციის ყველაზე დიდი ნაწილი აბსტრაქტულ ნამუშევრებს უკავიათ. მხატვარი ბოლო ორი წლის მანძილზე განსაკუთრებული ინტენსიურობით მუშაობდა მათზე, თუმცა თავიდანვე იჩინდა ინტერესს ამ ტიპის ნამუშევრებისადმი.

თუკი გავისინებთ აბსტრაქტული ხელოვნების ზოგად ფორმულირებას, მისი ერთ-ერთი ფუნქციონირება ე. კანდინსკის მიერ, რომ „რაც უფრო საშინელი ხდება სამყარო (და სწორედ ახლა იგი ისე საშინელი, როგორც არასდროს), მით უფრო აბსტრაქტული ხდება ხელოვნება, მაშინ როცა ბედნიერი სამყარო რეალისტურ ხელოვნებას წარმოშობს“, მაშინ გასაგები ხდება ის განწყობილება, რომელიც განსაზღვრავდა მხატვრის ბოლოდროინდელ სულიერ მდგომარეობას და მის საბედისწერო საქციელსაც. განხეთქილება გარემომცველ სინამდვილესთან, გაუცხოება და უიმედობის შეგრძნება, სრული უნდობლობა სოციალური გარემოს მიმართ, მასთან მუდმივი კონფლიქტი იწვევს სოსო წერეთლის



„მუსიკოსის ოჯახი“.

რადიკალურ პოზიციას და ამ პოზიციით მოტივირებულ ხელოვნებას — უარის თქმას კონკრეტულ-რეალურ სამყაროზე და აბსტრაქციის თავისუფალი სამყაროსკენ სწრაფვას.

ეს აბსტრაქტული კომპოზიციები ძალზე განწყობილებიანია, ხან ლირიული, ღია იასამნისფერის სივრცობრივი ილუზიით, ხანაც დამაბულ ფერადონებზე რიტმულ აგებული, დრამატული მძაფრი შეგრძნებით. და ამასთან ყველა ეს ნამუშევარი ატარებს სულიერობის იმ განსაკუთრებულ ნიშანს, რაც ასე დამახასიათებელია სოსო წერეთლის მიერ შექმნილი ნამუშევრებისათვის. ამ სურათებში ჩანს, რომ მხატვარი კარგად იცნობდა თანამედროვე სოფლიო ხელოვნების კულტურულ მიმკვიდრებობას, აბსტრაქციული მხატვრობის სხვადასხვა მიმართულებას და ამ ცოდნის საფუძველზე ინდივიდუალური ხედვითა და სუბიექტური მხატვრული ინტუიციით ქმნიდა სრულიად ორიგინალურ ნამუშევრებს. როგორცაა „ადამი და ევა“. აქ თემა სიმბოლური განზოგადებითაა გახსნილი, ან „კარები“, სადაც ყოფიერების უტილიტარული სამყაროდან გამოცალკეებული საგანი სხვაგვარი იდეურობით არის დატვირთული.

ამ წლებში აბსტრაქციებთან ერთად სხვა ხასიათის ნამუშევრებიც იქმნება. პორტრეტების სერია („დედის პორტრეტი“, „მამის პორტრეტი“, „პოგონას პორტრეტი“) ფსიქოლოგიური დახასიათების სიზუსტით გამოირჩევა. თითოეული პორტრეტისათვის შერჩეულია შესაბამისი ფორმატის ტილო, ყოველთვის საზგასმულია პოზა და გამოთქმულია, ზუსტად არის მოქმენილი შესრულების მანერა და ფერწერული გამა. მშვიდი პოეტურობით ხასიათდება „ეკო გიუნაშვილის პორტრეტი“, „ლიანას პორტრეტი“, შესრულების სილალით „ეკო კობახიძის პორტრეტი“, დრამატულობით „ავტობოტრეტი“. ამავე პერიოდშია შესრულებული სადამბლომთ სურათი „მხატვრის ოჯახი“, აქ ნათლად ჩანს, თუ რა სტატურად ფლობდა მხატვარი ფერწერის ტექნიკას. იგი საგანგებოდ მიმართავს ფორმის სტილიზაციას და ერთი შეხედვით ჩვეულებრივსა და ყოფით სიტუაციას ამაღლებულ და იდეალიზებულ სახეს ანიჭებს. ამ ნამუშევარში შეიკრება და კლასიკური განზოგადებით გამოქვანდა სწერეთლის ფერწერულ-ფორმისული ძიებათა მთელი მრავალფეროვნება.

სოსო წერეთლის გამოფენა ტკივილნარევი სიხარულით გვაგვიხებს. იგი თავისი მხატვრობით ჩვენთან ერთად აგრძელებს თავის ამკვიფრობ გზას და მომავლისკენ მიემართება.

პაიან წიქორიძე

ხელოვნების ახალგაზრდა კრიტიკოსთა ასოციაციის წევრი.

# მხატვარი სატკიპარი

საქართველოს სურათების გალერეის შენობის წინ სამწუხარო ახანაბობას ხედავენ გამგეობები. ავერ უკვე 250 დღეზე მეტია, რაც გალერეის შესასვლელთან სხედან შავებში ჩაცმული, ხანდა-ზმული, თავიქანდრული ადამიანები. შენობის ფასადის კედლებზე და კიბის საფეხურებზე კიდია ახალგაზრდა ადამიანების ფოტოსურათები. რას ნიშნავს ეს?

სულ ცოტა ხნის წინ, გასული წლის სექტემბერში, ჩვენ მოწმენი ვიყავით ქართული თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის საბინაო გასასწავლი. ეს იყო დიდი დღესასწაული, რომელსაც ესწრებოდნენ ოფიციალური პირები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ინტელექტუალები და სტუმრები არა მხოლოდ საბჭოთა კავშირიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც. ყოველივე ამას წინ უძღოდა კოლოსალური სარეკონსტრუქციო, სამშენებლო სამუშაოები, სახელმწიფო სურათების გალერეის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ გაწეული მუშაობა, თანამედროვე მხატვართა საუკეთესო ნამუშევრების შერჩევა ექსპონირებისათვის. შეიქმნა ხელოვნების ნამდვილი ტაძარი — თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. და აი, არ გასულა სულ ორიოდე თვე ამ მოვლენიდან, რომ მუზეუმის ფუნქციონირება შეწყდა. მუზეუმის დარბაზები გადაიქცა კომუნალურ საერთო საცხოვრებლად, სადაც ფერწერული ტილოებისა და ხელოვნების სხვა ნიმუშების გარემოცვაში ადამიანთა ჯგუფი საოჯახო საქმიანობას ეწევა. მათ იქვე სძინავთ, იღებენ სტუმრებს, ნაცნობებს და მრავალ ცნობისმოყვარესაც.

როგორც ოფიციალური პრესიდან არის ცნობილი, ეს ადამიანები ითხოვენ თავიანთი პრობლემების სამართლიან გადაწყვეტას, მათი პრეტენზია მიმართულია საქართველოს სსრ პოლიკურორისადმი, მთავრობისადმი. დღემდე ეს მოთხოვნები არ დაკმაყოფილებულა და ჩვენ უკვე

თვალნათლივ ვხედავთ, თუ ერთი ბოროტება როგორ იქცა მეორე ბოროტებად. სიმართლისათვის ბრძოლა როგორ გადაიქცა ქართული კულტურის მიმართ დაუმასხურებელ ეგზეკუციად, როცა ერის სიმდიდრე არაფრად და მიჩნეული და გარკვეული საშიშროების წინაშე დგას.

ჩვენ ვუშვებთ, რომ ადგილი ჰქონდა არაბიექტურობას და უსამართლობას, ადგილი ჰქონდა პიროვნული უფლებების შელახვას, სიმართლის ფალსიფიკაციას, რის შედეგადაც ეწყობა საპროტესტო აქცია, მაგრამ ნება მოგვეცით დავსვათ კითხვა, რატომ ხდება ეს აქ, მშვენიერი და კეთილშობილი მისის მქონე თანამედროვე ქართული ხელოვნების საზიანოდ? ეს აქცია რატომ არ ვრცელდება იქ, იმ შენობაში, ვისაც ედავებიან? დღემდე "ვაპატიოს, მაგრამ თეატრალიზებული ხომ არ გახდა პროტესტი?"

არსებობს სამუზეუმი ექსპონირების, ხელოვნების ნიმუშების შენახვის განსაკუთრებული წესი, რომლის დროსაც აუცილებელია დაცული იქნეს საჭირო ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმი. აუცილებელია გამოსასვლელი დღეები, რათა ნამუშევრებმა თავისუფლად ისუნთქონ. სიტუაცია, რომელშიც დღეს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები აღმონდნენ, ყოველად დაუშვებელია, ეს ბოროტებაა, თუნდაც შეგვეჩვიო. მატერიალურ ზარალს თან ახლავს დიდი მორალური ზარალიც. რისი უფლებაც, მითუმეტეს, არა აქვთ ადამიანებს, ვინც სიმართლეს ეძებს, ვისთვისაც კანონი ყველაზე მთავარია, რათა დაცული იქნას კანონიერება. ცხოვრებაში სამწუხაროდ სხვა რამ გამოდის.

იქნებ საჭირო იყოს იმის განსენება, რომ ომის პერიოდში ადამიანები თავიანთი სიცოცხლის ფასად ცდილობდნენ გადაერჩინათ

ხელოვნების ნიმუშები, რათა შეენახათ ისინი მომავალი თაობებისათვის. მაშ რაღა გვემართება ჩვენ დღეს? როგორ დავიცვათ ჩვენი ხელოვნება ნებისმიერი ასეთი შემთხვევებისგან შემდგომში? ვინ შეძლებს პრობლემის გადაწყვეტას? პრობლემის, რომელიც ზოგადდროულ-კულტურულ სიმაღლებს ეხება. ვინ დაიცავს მუზეუმს ასეთი ხელყოფისაგან? დღეს ჩვენი საზოგადოების წინაშე უამრავი პრობლემა დგას, ამ პრობლემათა შორის არც თუ უკანასკნელია ჩვენი კულტურის, ისტორიის ცოდნის, ესთეტიკური აღზრდის პრობლემა. ერთი რამ

ცხადია, რომ ამ რთული სიტუაციის დასაძლევად საჭიროა სერიოზული საუბარი დაინტერესებულ მხარეთა შორის. ალბათ ესე-ენი იქნებიან მთავრობისა და იმ უწყებათა წარმომადგენლები რომელთა მოქმედებამ გამოიწვია უბედურ ადამიანთა საპროტესტო აქცია, თვით აქციის მონაწილენი და რესპუბლიკის მთელი კულტურული საზოგადოებრიობა.

ნვამბრანა ჯაფარიძე  
ხელოვნებათმცოდნე



მუზეუმის დარბაზში და შესასვლელთან.

## საქართველოს სამუზეუმი

საგამოფენო გენერალურ გეგმის მიხედვით, საჭიროა მუზეუმის შენობის რეკონსტრუქცია და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა. მუზეუმის მუშაობის განხორციელებისათვის საჭიროა მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა. მუზეუმის მუშაობის განხორციელებისათვის საჭიროა მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა. მუზეუმის მუშაობის განხორციელებისათვის საჭიროა მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა.

გვიჩვენა ფერწერის (ზ. მამულაძისა და ტემურის) ქანდაკების, გრაფიკის, ხის ნაწარმის, ლითონის, კერამიკისა და ქსოვილების სარესტავრაციო სექტორები. მოიხსენიებენ ექსპონატებს საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, იქ არსებული მუზეუმების ფონდებში შესასწავლად და სარესტავრაციო ექსპონატების გამოილალონ. ამ მუზეუმებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებულ სიონი ფორმაციო-მეთოდოლოგიური მასალას. დროთა განმავლობაში გეგმიური შექმნა მეთოდოლოგიური-ექსპერტმენტული ფონდი, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესისათვის.

### თამარ ბაპურაძე

სარესტავრაციო ცენტრის დირექტორი.

1890 წლის მაისში ვან გოგის განმარტებლობა თოქოს გაუქმდა და იგი პარიზში გაემგზავრა. თეიმ ოვერში უშოვა მას ბუნებრივი ხელოვნების მუზეუმის დასახლება. იგი მუშაობას განაგრძობს და მხოლოდ ამაში მხოლოდ სხვა რაღა ხდება და არსებობის გამართლებას, თუმცა ვან გოგის სიცოცხლე და ფერწერას შორის უფრო დიდი ხანია დაკარგულიყო.

1890 წლის მაისში ვან გოგის განმარტებლობა თოქოს გაუქმდა და იგი პარიზში გაემგზავრა. თეიმ ოვერში უშოვა მას ბუნებრივი ხელოვნების მუზეუმის დასახლება. იგი მუშაობას განაგრძობს და მხოლოდ ამაში მხოლოდ სხვა რაღა ხდება და არსებობის გამართლებას, თუმცა ვან გოგის სიცოცხლე და ფერწერას შორის უფრო დიდი ხანია დაკარგულიყო.

## მხატვრის კალენდარი

# ვინსენტ ვან გოგი

1890 წ. 20 ივლისს 100 წელი შესრულდა დიდი ფრანგი მხატვრის ვინსენტ ვან გოგის გარდაცვალებიდან. იგი იმ ბრწყინვალე მხატვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც მთელი ეპოქა შექმნის მე-19 საუკუნის ფრანგულ ხელოვნებაში. ამ საუკუნის 70-იან წლებში მთელი ევროპის მხატვრული ცხოვრება მოიცვა ახალმა მიმდინარეობამ „იმპრესიონიზმმა“. ეს სახელწოდება მან შემთხვევით მიიღო 1874 წლის 15 აპრილს პარიზში, კაპუცინების ბულვარზე ახალგაზრდა მხატვართა გამოფენაზე წარმოდგენილი კლოდ მონეს სურათიდან, რომელსაც „შთაბეჭდილება: მისი ამოსვლა“ ეწოდებოდა.

ერთ-ერთმა რეპორტიორმა მხატვართა ამ ჯგუფს დაიწყო სწორედ ეს სახელი—იმპრესიონისტები უწოდა, რაც სამყაროს უშუალო აღქმას, პირველ შთაბეჭდილებას გულისხმობს.

იმპრესიონისტების ერთ-ერთ ბოლო გამოფენაზე, (1886 წლის პარიზში) გამოჩნდა ახალი ტენდენციები სურათის დეკორაციული გადაწყვეტისადმი, სადაც უდიდესი უპირატესობა ოპტიკურ შთაბეჭდილებას ენიჭებოდა. ფრანგულ ფერწერაში ეს იყო იმპრესიონიზმის შემდგომი პერიოდი. რომელსაც სწორედ ასე ეწოდა პოსტიმპრესიონიზმი (პოსტ-შემდგომი). ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფერწერა ვინსენტ ვან გოგი.

ვინსენტ ვან გოგი დაიბადა 1853 წელს, ჰოლანდიის სოფ. გროტ-ზუნდერტში, პროტესტანტი პასტორის ოჯახში. მან თავისი ცხოვრების დასაწყისში რამოდენიმე პროფესია გამოიცვალა და მხოლოდ 30 წლის ასაკში დაიწყო



„გამდელი (მადამ რუტენი)“.

ხატვა. 1886 წელს მარტში ვან გოგი პარიზში ჩადის თავის უმცროს ძმა-თეოსთან. პარიზში ჩასვლამდე იგი ხატვაში მეცადინეობდა ჭერ ბრიუსელსა და ჰაავსა, შემდეგ კი ანტვერპენში. იგი შეხიზნავდა იტონობა თანამედროვე ჰოლანდიელ მხატვრებს: ანტონ მათეუს, იაკობუს მარისს, ვილემ როლოფსს, მაგრამ პარიზში მიხვდა რას წარმოადგენდა მისი თანადროული ფერწერა.

იგი დიდი ინტერესით ეცნობა პარიზულ მხატვრებს, მათ ნამუშევრებს. პარიზში კორმონის სახელოსნოში იგი ხვდება—ნიმ ბარნარს, ტულუს ლორტეკს, პისაროს, გოგენს, სიორას. ვან გოგი სწრაფად ითვისებს იმპრესიონისტების ფერისადაღმეო და მოცილებულ ზახს. მათი მუშაობის ტექნიკას, გამომსახველობით ენახს, მაგრამ ვან გოგი არ გამოყოფილდება და თავის გზას ეძიებს. თუ

აქამდე მხატვარი ძირითად ყურადღებას სიუჟეტის შექმნაზე ამახვილებდა, ეხლა მთელი ყურადღება გადააქვს ნახატზე და კონტრასტული და მარმონიული ფერების ურთიერთდაპირისპირებით შექმნილ ეფექტებზე. ფორმას იგი რამოდენიმე მკვეთრი ხაზით გადმოსცემს. თანაბარი ხიგრძის წყვეტილი ხაზების გამოყენება მას პლანების შექმნის საშუალებას აძლევს. იგი მთელ თავის მონღონებას ფერების შესწავლას ახმარს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფერს ემოციური ძალა და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. („ჩიბუხიანი კაცია“, „ავტოპორტრეტი“, „ექვი გაშვს პორტრეტი“, „არლში ქალი“, „ვან გოგის საწოლი ოთახი არლში“). მან შესძლო შე-



„ვან გოგის საწოლი ოთახი არლში“

### კეპელა კალმანელი

გია ბულაძე

# დაპარტული იდეალის ქმნილება

ადამიანის აზროვნების დღე-ღამე მდგომარეობა სულიერი მხარის ცხოვრების სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხატვრულ შემოქმედებაში.

ამ გამოვლენით ორ ჯგუფს ვხვდებით — პოზიტიური ორიენტაციისა, რომელიც დიდი ხანია მსოფლიოში დასაბუთებულია იმდენად, როდესაც ადამიანის ხელოვნება, ერთის მხრივ შექმნილია და მეორეს მხრივ ატარებულია ჭეშმარიტება, ერთმანეთს წამოაშორა. ის, რაც ერთი აბსოლუტურ მთელს მიაღწევდა, დაიყო და დაიშალა.

სწორედ ამ ერთგვარი დაშლის, ურთიერთნაკვეთის ურთიერთშეუღწევლობის შედეგად შეიქმნა ის, რომ ადამიანის ხელოვნება, ერთის მხრივ შექმნილია და მეორეს მხრივ ატარებულია ჭეშმარიტება, ერთმანეთს წამოაშორა. ის, რაც ერთი აბსოლუტურ მთელს მიაღწევდა, დაიყო და დაიშალა.

სწორედ ამ ერთგვარი დაშლის, ურთიერთნაკვეთის ურთიერთშეუღწევლობის შედეგად შეიქმნა ის, რომ ადამიანის ხელოვნება, ერთის მხრივ შექმნილია და მეორეს მხრივ ატარებულია ჭეშმარიტება, ერთმანეთს წამოაშორა. ის, რაც ერთი აბსოლუტურ მთელს მიაღწევდა, დაიყო და დაიშალა.

სწორედ ამ ერთგვარი დაშლის, ურთიერთნაკვეთის ურთიერთშეუღწევლობის შედეგად შეიქმნა ის, რომ ადამიანის ხელოვნება, ერთის მხრივ შექმნილია და მეორეს მხრივ ატარებულია ჭეშმარიტება, ერთმანეთს წამოაშორა. ის, რაც ერთი აბსოლუტურ მთელს მიაღწევდა, დაიყო და დაიშალა.

სწორედ ამ ერთგვარი დაშლის, ურთიერთნაკვეთის ურთიერთშეუღწევლობის შედეგად შეიქმნა ის, რომ ადამიანის ხელოვნება, ერთის მხრივ შექმნილია და მეორეს მხრივ ატარებულია ჭეშმარიტება, ერთმანეთს წამოაშორა. ის, რაც ერთი აბსოლუტურ მთელს მიაღწევდა, დაიყო და დაიშალა.

სწორედ ამ ერთგვარი დაშლის, ურთიერთნაკვეთის ურთიერთშეუღწევლობის შედეგად შეიქმნა ის, რომ ადამიანის ხელოვნება, ერთის მხრივ შექმნილია და მეორეს მხრივ ატარებულია ჭეშმარიტება, ერთმანეთს წამოაშორა. ის, რაც ერთი აბსოლუტურ მთელს მიაღწევდა, დაიყო და დაიშალა.

სამოქმედო გარემოს და მასალის სტრუქტურალური სპეციფიკური თვისებები განსაზღვრავს.

ამ ორივე ნაკადის სამოქმედო არე ისევ და ისევ გაორებული პიროვნება, უფრო სწორედ, პიროვნების გაორებული აზროვნება გახლავთ.

ეს პოლარობა განსაკუთრებით მკაფიოდ სწავს მუსიკაში, რადგანაც მუსიკა, თავისი არსით, ლოკალური აზროვნების გრძობიერ სფეროში მოქმედებს განსახიერებს და ასევე ემორჩილება ლოკალური მიერ მის განხილვასა და განაწილებას. ფაქტობრივად იგი განაწილებს თავის არსს არ დალატობს.

ეკრანულ ხელოვნებაში, იმ დროს, როდესაც რელიგიური ხელოვნების იდეალური პარმონია ღვთაებრივის სამსახურში ნელ-ნელა საუკუნეების და წარსულის სიღრმეში მიიშალა, გამოიკვეთა ორი მიმართულება. ერთ-ერთი სწორედ აზრის აუცილებელი შემეცნების პოზიციას იღებს, ხოლო მეორე მასალის, მოცემული ფაქტის სუბსტანციური მიღებულ შემოქმედებით იმპულსებზე აგებული თავისი ხელოვნების ძირითად ნატივად.

თავისთავად, შემოქმედება განხორციელდება გულისხმობს; ამავე დროს არ არსებობს შემოქმედებითი სინარული სამოქმედო იდეიდან ინსპირირების გარეშე, მასზე დაყრდნობით კი მთლიან მხატვრული დამატებითობა. ამ პოლარულ ნაკადებში ყოველთვის იყო და ახლაც, დღევანდელ შემოქმედებით პროცესშიც არის სურვილი, ურთიერთმნიშვნელობის, მაგრამ ის გამომთლიანებული ძალა, რომელიც ადრე მოქმედებდა, როგორც რელიგიური ერთობის განცდა, დაიკარგა. დღევანდელი ხელოვნების რელიგიად, თვით ხელოვნება იქცა, ხოლო მას ემსახურება პიროვნული განცდები, გრძობები. კარგია თუ ცუდია ეს ყოველივე — ცალკე განხილვის საგანი გახლავთ.

ლეონარდო და ვინჩის მიანდია, რომ ყველაზე დიდი შემეცნება — სიყვარული იყო, მაგრამ ძალზე დაგვიშორდა ის ნეტარი შემეცნების განცდა. ამიტომაც რთულია დღევანდელი ადამიანის შემოქმედება, სადაც ბოროტება, როგორც ასეთი, რეალურად შეიქმნა და პროტესტის სახად იქცა. მხოლოდ წარსულის ნორმებითა და კანონებით რომ მივიღებოთ, ამ საკითხს, რთულია ადამიანს წაუკითხოთ მთლიანი, მოვთხოვთ შეასრულოს გარკვეული წესები და რიტუალები, თუ მის არსში თავად მაინც არ გაიკარგა, რადგანაც იმ საყოველთაო მოტივანობის გეროლი ადამიანის გულში გაიკარგა დაპირისპირებულობები, რომელშიც აზროვნების განეგამ იმინა თავი. არსებული ფაქტებით, მასალით, შეგრძნებებით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ მაგიურ ინტუიციური ხატებით აზროვნებამ, მხატვარი არჩევანის წინაშე დააყენა. ადამიანი გამოსავალს რეალურ დასაბუთებაში, რეალურ მონაბოვარში იძებს, რომელსაც ტრადიციაც ზურგს უმაგრებს და მონაბოვარი ამ ტრადიციის პრიზმიდან მოსწავს, რადგანაც არ არსებობს ფაქტი, რომელსაც სათუძოვლითა საწყისი არ მოეძებნებოდა წარსულში.

ხელოვანი და არა მარტო ხელოვანი, საერთოდ დღევანდელი ადამიანი, ზღაპრული გზის გასაყარზე დგას, სადაც გზის დილაზე უძვიროსი ასო-ნიშნებით წარწერა შემორჩინილი; თუმცა კი მას კოხა დააიწყდა თა ისეთი შეგრძნება, რომ გზას მხოლოდ ხელისაგაბით თუ გაიკრებს, ამიტომ გამოსავალს სწორედ წარსულის ამოთხოვლობისთან ზიარებაში, მის თანამედროვე სააზროვნო ოთრებით შეიკრებსა და შემდგომ ინტერპრეტაციაში ახრავთ, და გიორგოთი ვერ აღიქვამ ხელოვანს. მოწყობით იმ რეალური-გარემოთა, სადაც ის დაიბადდა და სასულიერო ტრადიციებშია ჩამოყალიბდა მისი ინდივიდუალობა.

ყოველ მოვლენას, რომელიც სათავეში ჰზარს დაუდებს ხავსმოკიდებულ ფასეულობებს და ხალასი ასოციაციებით შეამზადებს კაცობრიობის სულიერ განწყენდას გულდია, კომპლექსებსა და ამბიციურობას მოკლებული ადამიანები ესაჭიროება. ყოველი სიკეთე სუფთა ხელებით უნდა კეთდებოდეს.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ხელოვნება ავანტიურისტიკისა და უმეცართა ხელშია, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში. მსოფლიოში სულ ათიოდე გაღერა და ამდენივე მეცენატია, რომელიც ხელოვანზე ზრუნავს, როგორც მორალურ და ეთიკურ ფენომენზე. ისინი ძალზე ფრთხილად ეკიდებიან კომერციულ ურთიერთობებს, რათა არ გარყვანან მხატვარი; პირველ რიგში ხელი შეუწყონ მის სულიერ ზრდას და არ შებღალან

## აქას იმიტომ ვამბობ!..

იმათი ხატები, ვინც ძნელბედობაში ზოგჯერ ჯანღონისა და სიცოცხლის ფასად შეეწირნენ ახალი მსოფლშეგრძნების დამკვიდრებას. ჩვენც უნდა ვეცადოთ გავუფრთხილოდეთ და შევიწარმუნოთ ის ფაქიზი ფასეულობანი, რომლებიც ნიკო ფროსმანმა, დავით კაკაბაძემ, ავთანდილ ვარაზმა გვიანდერძეს.

დღეს პოპულარული გახდა არატრადიციული მხატვრული მეთოდების ექსპლუატაცია და ამ გზით სახელისა და ფულის მოხვეჭა.

მხატვარი, ახალი ხელოვნების ფენომენს მთელის უშუალობით და სულიერ ძალთა აქტივიზაციით უნდა მოეკიდოს. ჩვენში კი, ბევრი, ავანგარდის მოძრაობას მიმბაძველობის გზით, პასიურად ეზიარა, ისინი იმ არსებათა რიგს განეკუთვნებიან, რომლებიც სხვის მიერ მოპოვებული ენერგიებით საზრდოობენ და რახან გაცნობიერებისა და განზოგადების უნარი ნაკლებად გააჩნიათ, თავს ვერ აღწვივან სტერეოტიპებს. შესაძლოა, ამიტომაც არიან ესოდენ გულისხმიერნი კონიუქტურისა და მსოფლიო სამხატვრო ბაზარზე წარმოჩენილი ტენდენციების მიმართ. ისინი, მყარ ორიენტაციას აცდენილნი, ვერ პოვებენ თვითგამოხატვის თავისებურ მხატვრულ ექვივალენტს და მოდერნისტული სტერეოტიპების დამკვიდრებას უწყობენ ხელს.

ავანტიურად და ავანგარდის იდეალების დისკრედიტაციად მიმჩნევენ მხატვრებს, რომელიც ახალ მსოფლშეგრძნებას ეყრდნობა, როგორც ნიჰილისტურს და ყოველგვარ კრიტიკურობებს მოკლებულ მოვლენას. ეს ობიექტული ამბიციებით და ზანტი გონებით წარმოქმნილი დებულებაა, რომელიც ჩამოყალიბდა მომხმარებლური ჟინის დასაოკებლად.

თანამედროვე მხატვრულ ავანგარდს ახალიათებს ფასეულობათა მკაფიო შკალა და ეს კარგად იციან ახალი ხელოვნების ჭეშმარიტმა ქომავებმა, ვინც ავანგარდის იდეალები გაითავისა, როგორც მეტაფიზიკური, სულიერი ფენომენი. ზემოთქმულს მარსელ დიუსამის, ჯასპერ ჯონსის, იოზეფ ბო-

ისის, გიუნტერ იუკერის და სხვათა ხელოვნების გახსენება განამტკიცებს.

ხელოვანმა, ისევე როგორც ხელოვნების კრიტიკოსმა, კარგად უნდა შეისწავლოს, გაითავისოს და განიცადოს მხატვრული ავანგარდის, როგორც სკოლის, სულიერი და ესთეტიკური, ენის მეთოდოლოგია, თეორია და პრაქტიკა; ისიც, რაც საფუძვლად დაედო 10-20-იანი წლების ესთეტიკურ ფენომენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხატვარი სუბიექტური ასოციაციებისა და მენტალური სპეკულაციების მახეში გაებმება.

ახალი ხელოვნების აღსანიშნავად ხშირად ვიშველიებთ უამრავ ტერმინს — ავანგარდსა და ტრანს-ავანგარდს, პოსტ-მოდერნიზმს და სხვას, ის კი გვავიწყდება, რომ ამ ფენომენს ოდესღაც ნონკონფორმისტულ ხელოვნებასაც უწოდებდნენ.

ავანგარდი უნდა გავიგოთ, როგორც სუბიექტუალური მსოფლშეგრძნება, ახალი დროის, ცხოვრების წესი და არა როგორც ფორმალური საშუალებებისა და ეფექტების კომბინაცია.

ავანგარდი ისწრაფვის არადიფერენცირებული ცნობიერების დამკვიდრებისკენ; ინტუიციისა და ინტელექტის დახვეწის გზით.

ილიკო ზაუტაშვილი




## ანეტა ბასიშვილის გამოვლენა

არბატზე, მოსკოვის გაზაფხული კიდე უფრო გააღმაზა საქართველოს კულტურულ-საეკონომიკურ ცენტრ — „მსოფლიო“ გახსნილმა გამოვლენა. ანეტა ბასიშვილის შემოქმედება თავისი მრავალფეროვნებით არა მარტო საქართველოში იქცევა ყურადღებას, მისმა ნამუშევარმა მოიპოვა ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, იაპონია, კანადა, ფინეთი და მოსკოვის ერთ-ერთ ლამაზ საგამოფენო დარბაზშიც გამოიფინა.


ქართული კერამიკის განვითარებას დიდი ისტორია აქვს. ანეტა ბასიშვილიც ენერგიას არ ზოგავს ქართული ეროვნული კერამიკის აღორძინებისათვის; მისი თითოეული ნამუშევარი ეროვნული თემატისა და ისტორიის ცოდნით სუნთქავს.

თიხის დამუშავების ტექნოლოგიის ღრმად გაანალიზება მას საკუთარი ფანტაზიის სრულ გამოვლენაში და ესთეტიურად დახვეწილ ფორმების შექმნაში ეხმარება. მხატვრის ნამუშევრები გამოირჩევა თავისი კოლორიტული დაღაწყვეტითა და ფერთა თამაშით. კერამიკისა და მისი მასალის სინთეზი კიდე უფრო მეტ სიმსუბუქესა და გამჭვირვალებას ანიჭებს მათ. მისი ნამუშევრები სცილდება უტილიტარულ ხასიათს და ფართოდ გამოიყენება ქართულ ყოფაში. მისი ნაღვივნები, სურბები, ფალები, ფინჯნები ქართული ტრადიციული სუფრის მშვენიერს წარმოადგენს.

ანეტა ბასიშვილი, იმედია კიდე მრავალჯერ გაგვანარებს თავისი ლამაზი ხელოვნებით.



ქრონოსი  
გიგლითაჲს



გთავაზობთ ილუსტრაციებს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის ფონდებიდან. ზემოთ ლ. გუდიაშვილი — „შეუპარებულები“, მისივე — „ჩიტების გაშუიღველი“. ქვემოთ ე. ახვლედიანი — „ფასანური“, ს. პირსალაძე — ილუსტრაცია შ. დადიანის რომანისათვის „იური ბოგოლუბსკი“.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 7.  
დაიბეჭდა მხატვრის სახლის პოლიგრაფიულ-ობიექტ-  
უბი 50 კვ. ტირაჟი 1000 ც.



გაზეთის გამომცემელი და სარედაქციო კოლეგია —  
თანამედროვე სახვითი ხელოვნების სახელმწიფო  
მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.